ხონის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდული საბჭოს სხდომის
ოქმი N 3

ქ. ხონი

23 თებერვალი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ანასტასია კაკაბაძე, გვანცა გვანცელაძე, ნინი ჩიხლაძე, ნინი კუხალაშვილი, დავით აკობიძე, მაგდა ჯიშკარიანი, მინდია კიკალეიშვილი, მელანო კოპალიანი, გიგა სულაბერიძე, ეთერ აბზიანიძე, ლუკა გორდულაძე, თამთა ყურაშვილი, ბესარიონ კირთაძე, ანნა მოგელაძე, გურამ უგულავა, გოგა გახოკიძე, ასევე, სხდომას ესწრებოდა ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი ავთანდილ ხობუა,
სხდომას არ ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ვასილ აგლაძე.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს კომიტეტების დამტკიცება. მომხსენებელი:საბჭოს თავმჯდომარე ანნა მოგელაძე
2. საბჭოს პიარის გეგმის წარდგენა, მომხსენებელი:ნინი კუხალაშვილი

მოისმინეს: 1. საბჭოს კომიტეტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: საბჭოს თავმჯდომარე ანნა მოგელაძე

კენჭი ეყარა ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის მიერ წინა სხდომაზე წარდგენილ შემდეგ კომიტეტებს: კულტურა, სპორტი, იურიდიული, ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა, განათლება, სოციალურ საქმეთა და საფინანსო ეკონომიკური. განხილულ იქნა ზემოთ ხსენებული კომიტეტების ხელმძღვანელებისა და წევრების საკითხი.
აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე მყოფმა წევრებმა და საბჭოს კოორდინატორმა ავთანდილ ხობუამ.

დაადგინეს: ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით, დაამტკიცეს ექვსი კომიტეტი შემდეგი ხელმძღვანელებით და წევრებით:

1. კულტურის კომიტეტი-ხელმძღვანელი: ვასილ აგლაძე. წევრები: ლუკა გორდულაძე, ანასტასია კაკაბაძე, ნინი ჩიხლაძე, გვანცა გვანცელაძე.
2. სპორტი და ახალგაზრდობა-ხელმძღვანელი: გიგა სულაბერიძე. წევრები: ნინი კუხალაშვილი, ბესარიონ კირთაძე, მინდია კიკალეიშვილი.

3. იურიდიულ საქმეთა კომიტეტი-ხელმძღვანელი: მაგდა ჯიშკარიანი. წევრები: მინდია კიკალეიშვილი, დავით აკობიძე.
4. ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა-ხელმძღვანელი: გურამ უგულავა. წევრები: გიგა სულაბერიძე, მელანო კოპალიანი.
5. განათლება-ხელმძღვანელი: დავით აკობიძე. წევრები: მინდია კიკალეიშვილი, გურამ უგულავა, ნინი ჩიხლაძე, ნინი კუხალაშვილი, გოგა გახოკიძე, ანასტასია კაკაბაძე.
6. სოციალურ საქმეთა და საფინანსო ეკონომიკური-ხელმძღვანელი: გოგა გახოკიძე. წევრები: ნინი კუხალაშვილი, ანასტასია კაკაბაძე, მელანო კოპალიანი.

მოისმინეს: 2. საბჭოს პიარის გეგმის შესახებ

მომხსენებელი: ნინი კუხალაშილი ახალგაზრდული
საბჭოს პიარის გუნდის ხელმძღვანელი

ახალგაზრდული საბჭოს პიარის ხელმძღვანელმა ნინი კუხალაშვილმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, პირველ რიგში ხონის მუნიციპალიტეტში არსებულ სკოლებში სტუმრობასა და ახალგაზრდებისთვის საბჭოს შესახებ ინფორმაციის მიწიდებაზე. შეიქმნა საბჭოს ოფიციალური გვერდები სოციალურ პლატფორმებზე.

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც საბჭოს გრაფიკული დიზაინის კანდიდატად წარუდგინა ბესარიონ კირთაძე, ხოლო მის დამხმარედ გვანცა გვანცელაძე. ასევე ახალგაზრდული საბჭოს წევრბმა მხარი დაუჭირეს ახალგაზრდული საბჭოს პიარის ხელმძღვანელის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას სკოლებში სტუმრობასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: ახალგაზრდული საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, საბჭოს გრაფიკულ დიზაინერად არჩეულ იქნა ბესარიონ კირთაძე, ხოლო მის დაქმხმარედ გვანცა გვანცელაძე.

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე: ა. მოგ ანნა მოგელაძე

ახალგაზრდული საბჭოს მდივანი: თ. ყურაშვილი თამთა ყურაშვილი